საქართველოში ავტორიტარიზმის განვითარების პროცესში პროპაგანდის როლი, სერბეთისა და უნგრეთის გამოცდილების გათვალისწინებით

რაფიელ კაკაბაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის პროგამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

სარჩევი

შესავალი *1*

კვლევის საჭიროება და აქტუალურობა 3

ლიტერატურის მიმოხილვა *3*

როგორ ვიკვლევთ ავტორიტარიზმს? - კვლევის მეთოდოლოგია *7*

ავტორიტარიზმის რომელ ნიშნებზე ამახვილებს კვლევა ყურადღებას? 9

რა როლი აქვს პროპაგანდას ავტორიტარიზმის ჩამოყალიბებაში და როგორია კრემლის პროპაგანდის გავლენა პოსტ-საბჭოთა საზოგადოებებზე? 10

ავტორიტარიზმის ძირითადი მახასიათებლები *13*

იდეოლოგიის არარსებობა 13

სერბეთი 13

უნგრეთი 16

საქართველო 19

შეთქმულების თეორია 22

სერბეთი 22

უნგრეთი 24

საქართველო 26

კანონის უზენაესობის უარყოფა 29

სერბეთი 29

უნგრეთი 30

საქართველო 32

მედიის თავისუფლების შეზღუდვა 34

სერბეთი 34

უნგრეთი 35

საქართველო 38

ძირითადი მიგნებები *41*

დასკვნა *43*

გამოყენებული ლიტერატურა *44*

აბსტრაქტი

აკადემიურ წრეებში გახშირდა იმაზე საუბარი, რომ დემოკრატიის ხარისხის გლობალური გაუარესების პერიოდში ვცხოვრობთ და გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა. ერთი მხრივ სისტემების დემოკრატიულობის შემოწმების მოძველებულმა მეთოდმა, ხოლო მეორე მხრივ ავტორიტარული რეჟიმების განვითარებამ, სულ უფრო რთული გახადა არადემოკრატიული სისტემების იდენტიფიცირება და მათ წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა.

წინამდებარე ნაშრომში სამი ქვეყნის მაგალითზე განხილულია პროპაგანდის როლი ავტორიტარული მმართველობის ჩამოყალიბების პროცესში და შედარებითი ანალიზის მეშვეობით გამოკვეთილია არალიბერალური და ავტორიტარული პრაქტიკებისათვის დამახასიათებელი ის 4 ძირითადი თვისება (იდეოლოგიის არარსებობა, შეთქმულების თეორია, კანონის უზენაესობის უარყოფა და მედიის თავისუფლების შეზღუდვა), რომელიც საერთოა სერბეთის, უნგრეთისა და საქართველოს შემთხვევაში.

სამაგიდე კვლევის მეთოდით მომზადებული ნაშრომის მიზანია - სერბეთისა და უნგრეთის მაგალითზე კრიტიკულად გაანალიზოს საქართველოში მიმდინარე მოვლენები, გამოკვეთოს ის ძირითადი მსგავსებები, რომელიც არალიბერალური ან/და ავტორიტარული პრაქტიკების კუთხით არსებობს საქართველოსა და დანარჩენ 2 სახელმწიფოს შორის, შეაჯამოს არსებული გამოცდილება და ამ გზით ხელი შეუწყოს საქართველოში ავტორიტარიზმის ნიშნების კვლევას, რამაც საბოლოო ჯამში უნდა გაადვილოს საპასუხო, პრევენციული ნაბიჯების დაგეგმვა.

საკვანძო სიტყვები: *არალიბერალური პრაქტიკები ავტორიტარული პრაქტიკები, პროპაგანდა, გამოხატვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა.*